**ფასი 25 თეთრი** ... *არასტანდარტული კროსვორდებით* ...

# ფანტაზია

**№ 4 (30)**

12 თებერვალი | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი

## კვირის ადამიანი – კვირის კროსვორდში



*გასული კვირის მოვლენებს შორის უდავოდ უმთავრესი დავით ყიფიანის დანიშვნა გახლავთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე (ფეხბურთზე ვამბობთ, რაღა!). გთავაზობთ ამ ფაქტთან დაკავშირებით, უფრო სწორად – ბატონ დავითთან დაკავშირებით, შედგენილ კროსვორდს... (ო, რა ფეხბურთელი იყო!).*

თარაზულად: 4. რა „წოდებისაა“ ის ფეხბურთელი, რომელსაც ბატონი დავითი მინდორზე ხელმძღვანელობას მიანდობს? 8. გაიხსენეთ ბატონი დავითის ავტომობილის ერთი ნაწილის ქართული სახელი, სადაც იგი თავის სპორტულ აღჭურვილობას ალაგებს. 10. 1978 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, სადაც ბატონ დავითს არ უთამაშია. 11. გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი, ბატონი დავითის კოლეგა თავისი „ამპლუით“. 12. რა ერქვა ბატონი დავითის მშობლიურ გუნდს „ზვიადობისას“? 13. მაშ, (სიმბოლურად) რა მიანდო ბატონმა ნოდარმა ბატონ დავითს გუნდის სამართავად? 14. ფეხბურთელი, რომელმაც 1986 წ. ინგლისს ხელით გაუტანა გოლი... (აბა, დავით ყიფიანი ამას იკადრებდა?!). 16. ჭადრაკის ფიგურა (ვითომ რაო, რა, ბატონი დავითი არ თამაშობს ჭადრაკს?!). 17. თბილისის „დინამოს“ პირველი კაპიტანი (1936-1941), ბატონი დავითის დიდი წინაპარი. 20. ქალაქი, რომლის „ტორპედოს“ ბატონი დავითი უმაღლეს ლიგაში შეხვედრია... (შორს ნუ წახვალთ, რაღა!). 22. კავკასიური ცეკვა, რომელსაც ხშირად ახსენებდნენ რუსი კომენტატორები (მასლაჩენკო, პერეტურინი...) ბატონი დავითის თამაშის აღწერისას. 23. (ბატონ დავითთან კავშირში არ არის...) თავის თავზე უიმედოდ შეყვარებული მითოლოგიური პერსონაჟი. 24. თეთრთმიანი იტალიელი, რომელიც პრობლემებს გაუჩენს ბატონ დავითს, თბილისში, განმეორებით მატჩში (თუ ათამაშეს...). 26. „ქინქის“ (ქინქლაძის) ჩვენებური სახელი (ყიფიანის გუნდში ხომ ითამაშებს იგი?!). 28. (ლიტერატურული) წყალქვეშა ნავი, რომლის მსგავსადაც მიაპობდა ყიფიანი მცველთა „ტალღებს“. 29. რა ნომერი ეწერა ზურგზე ბატონი დავითის პარტნიორს, ბატონ თენგიზ სულაქველიძეს? 30. საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქი, სადაც ბატონი დავითი 1998 წელს საქართველოს ნაკრების ჩაყვანას ისურვებდა. 31. (ბატონმა დავითმა მშვენივრად იცის ინგლისური, ჰოდა, ალბათ, ორიგინალში აქვს წაკითხული ეს) ინგლისელი კლასიკოსი. 33. ბატონი დავითი დაგვეთანხმება, რომ ამერიკელს „ასეთი“ მეტსახელი აქვს ევროპაში. 34. „როგორი“ უნდა იყოს კაცი, რომ თქვას – ყიფიანს ფეხბურთი არ ესმისო?! 35. ბატონი კოტეს, ბატონი ნუგზარის და მათი კოლეგების აღტაცებული „შეძახილი“ ყიფიანის მიერ გატანილი გოლის შემდეგ. 36. საფეხბურთო-საგუნდო სახელი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ბატონ დავითს? 37. ყოფ. სსრკ-ს საფეხბურთო „შეფი“, რომელიც ქართველებს, და მათ შორის ბატონ დავითს, არ სწყალობდა.




## როგორ "ატყვევებს" შერონ სტოუნი მამაკაცებს

(იხ. მე-2 გვერდი)



შვეულად: 1. ქართული „კომენტარის“ პატრიარქი, ყიფიანის გამარჯვებათა მემატიანე. 2. გუცაევი-ყიფიანი-შენგელია „რელიგიის ენაზე“. 3. რა მანკიერი გრძნობა უღრღნიდა გულს ყიფიანის მტრებს? („ცუდას რად უნდა მტერობა“ და ა. შ.). 4. (კიდევ ერთი) იტალიელი ფორვარდი, ენრიკო... ყიფიანი-მწვრთნელის (კიდევ ერთი) პრობლემა. 5. ბატონ დავითს, როგორც ქრისტიან კაცს, ბუნებრივია, ახასიათებს შენდობის „ეს“ სახესხვაობა. 6. გუნდი, რომელსაც ყიფიანმა 1976 წ. სსრკ თასის ფინალში გოლი გაუტანა. 7. თბილისის „დინამოს“ (კიდევ ერთი) დიდი კაპიტანი, ყიფიანის წინამორბედი სტილის თვალსაზრისით. 9. ყვითელთმიანი ინგლისელი, რომელიც პრობლემებს გაუჩენს ბატონ დავითს ლონდონში, განმეორებით მატჩში (იხილეთ ფოტო, მარცხნივ); 13. იხილეთ (მე-4 გვ. კროს-გალერეის შვ. № 1 კითხვა) აქ კი – გაუმარჯოს ბატონ დავითს! 14. „დინამო“ (ყიფიანის გუნდი) შსს უწყებრივი გუნდი იყო... „ვინ“ იყო პროფესიით (სიმბოლურად) თითოეული დინამოელი. 15. მაშ, რა დაადო ბატონმა ნოდარმა (ახალკაცმა, რაღა!) ბატონი დავითის განცხადებას. 16. საერთაშორისო ენა, რომელიც ბატონ დავითს არ სჭირდება. 17. ფეხბურთელი, რომელსაც ყიფიანმა ყველაზე მეტი გოლი გაატანინა. 18. მოსკოვის „ტორპედოს“ დიდი ფეხბურთელი წარსულში, ყიფიანის წინამორბედი ამპლუის თვალსაზრისით. 19. იშვიათის სინონიმი... (ხვდებით ქვეტექსტს, ბატონ დავითთან მიმართებაში?!). 21. ყიფიანის სხეულის რა ნაწილი მუშაობდა ყველაზე მეტად მინდორზე. 25. გუნდი, რომელსაც ყიფიანმა 1977 წელს მილანში გოლი გაუტანა (ფაკეტის რომ წაართვა ბურთი, ხომ გახსოვთ?). 27. დამხმარე ელექტრო-ტელე საშუალება მატჩების ჩასაწერად. 32. მაშ „რა“ ახალი ქრის ქართულ ფეხბურთში (ყიფიანის ნაკრებში მისვლით)?

(კიდევ ერთხელ)

გაუმარჯოს დავით ყიფიანს!

## ფანტაზიიდან ფანტაზიამდე

### (ინფორმაცია განსჯისათვის)

### კვირა

ორი წლის შემდეგ დედამიწის ბინადართა რიცხვი 6 მილიარდს გადააჭარბებს, 2050 წლისათვის კი ეს რიცხვი 8-12 მილიარდს შორის იმერყევებს. ამგვარი პროგნოზი გაეროს შესაბამისი ფონდის მიერაა გამოთვლილი და იქვე აღნიშნულია, რომ მოსახლეობის მატება უმთავრესად განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე ხდება, ევროპაში ეს უტოლდება ნულს, ზოგიერთ ქვეყანაში კი მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს.

ძალზედ დიდი ტემპია აფრიკაში, – 2,7% წელიწადში ამაზედ უფრო ძლიერი ტემპით იზრდება აზიის ზოგიერთი რეგიონი, სადაც მატება 3,5%-ს აჭარბებს.

ჩინეთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა იქნება; მართალია, მატება აქ 1%-ს არ აღემატება, მაგრამ 2025 წლისათვის მოსახლეობა მაინც გადალახავს 1,5 მილიარდიან ზღვარს ამავე დროისათვის ინდოეთის მოსახლეობა 1,3 მილიარდს მიაღწევს...

**მინაწერი:**

**აზიის ერთ-ერთ „რეჟიმულ“ ქვეყანაში მოგზაურობისას ჩვენი თვალით ვნახეთ უზარმაზარი ტრანსპარანტი, სადაც ეწერა:**

**„ნათელი მომავალი-მცირერიცხოვანი შვილებით!“**

**როგორც ხედავთ, „ნათელი მომავლის“ ფაქტორი დიამეტრალურად განსხვავდება ურთიერთისაგან „რეჟიმის“ მიზნებიდან გამომდინარე.**

### ორშაბათი

ახლახანს იური ნიკულინის 75 წლის იუბილე აღინიშნა. გთავაზობთ მისი ცხოვრების ერთ ფაქტს:

„მე (იური ნიკულინი) პუშკინის ქუჩაზე დავდიოდი სამკითხველოში და მხოლოდ „ოგონიოკს“ ვკითხულობდი. იქ ბეჭდავდნენ კროსვორდებს, რომლებსაც ჩვენი ოჯახი ეთაყვანებოდა. კროსვორდები „ვეჩერკას“ შაბათის ნომერშიც იბეჭდებოდა. ჩვენ უზარმაზარ რიგში ვდგებოდით ამ გაზეთისათვის, მაგრამ ზოგჯერ ვყიდულობდით და იქ კროსვორდი არ იყო; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში რაღაც კატასტროფა მოხდა, ან ვიღაც მოკვდა. „ოგონიოკს“ კი არცერთი ნომერი არ გამოუტოვებია კროსვორდის გარეშე...“



### ნიკულინის ანეკდოტი

*კაზინოდან გამოდის ორი კაცი; ერთი მათგანი საერთოდ შიშველია, მეორეს კი მხოლოდ ტრუსები აცვია*

*შიშველი რომელიც არის, ამბობს:*

*— აი, სწორედ იმიტომ გცემთ პატივს, რომ თქვენ შეგიძლიათ საჭირო დროს შეწყვიტოთ თამაში.*

# შერონ სტოუნი — ქალი-მეკობრე



ამბობენ, რომ შერონ სტოუნი სულაც არ იყო გათვალისწინებული ფილმ „ძირითადი ინსტიქტის“ მთავარი როლის შემსრულებლად. პროდიუსერებსაც და რეჟისორ პაულ ვერხუვენსაც ამ სუპერსექსუალური ქალის სახის შესაქმნელად მიშელ პფაიფერი თუ ჯულია რობერტსი უნდა მიეწვია. მაგრამ ჯიუტმა შერონმა, სცენარის გაცნობის შემდეგ, უარი თქვა ყველა სხვა საქმეზე, დამდგმელ რეჟისორთან პირადი აუდიენციის გამართვა შეძლო და... მოახერხა დაერწმუნებინა იგი, რომ მხოლოდ მას შეეძლო იმ მწერალი ქალის როლის განსახიერება, რომლის თამამი ეროტიული ფანტაზია რეალობად იქცევა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ფილმმა ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო და რეიტინგების სათავეშიც ხანგრძლივად ფიგურირებდა. შერონ სტოუნი კი წამიერად გახდა ეკრანის სუპერვარსკვლავი, თუმცალა იგი უკვე ოცდაათ წელს იყო გადაცილებული.

ან ეგებ ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მსახიობი არ თამაშობდა? ანუ: პირადი ქალური გამოცდილება მას ამ როლის შექმნის შესაძლებლობას აძლევდა...

მილიონობით მამაკაცი ჭკუას კარგავს შერონ სტოუნის გამო, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს აქვთ ბედნიერება დაუახლოვდნენ თავის ღვთაებას, ოღონდ არჩევანს თავად შერონი აკეთებს. მისი მეგობრები ამტკიცებენ, რომ ამ ქალს სახელოებში იმდენი სატრფიალო ფოკუსი და ტრიუკი აქვს ჩამალული, რომელთაც იგი საჭირო დროს ააშკარავებს, რომ მისდამი შურით აღივსებოდა თვით დავით კოპერფილდი, ყოვლადცნობილი ჯადოქარი (კლაუდია შიფერის მიჯნური). შერონის დაქალების თქმით, იგი გამუდმებით „ლესავს“ ვინმე მამაკაცის ნებისყოფაზე ფლირტის ხელოვნებას, რათა საჭიროებისამებრ მზადყოფნაში იყოს მორიგ მსხვერპლთან „აშიკობისას“. ახლა ჩამოგითვლით რამოდენიმე „საფირმო“ ეშმაკობას ამ ვარსკვლავის რეპერტუარიდან, რაც მასთან დაახლოებულ პირთა მონათხრობიდანაა ამოკრეფილი.

შერონს თუ მამაკაცი მოეწონა, იგი მას დაჟინებით უყრის თვალს თვალში და არასოდეს აშორებს მზერას, რაგინდ უხერხულიც იყოს ეს გარშემო მყოფთათვის. „ვარსკვლავი“ ამბობს, რომ ეს ხერხი მას მამაკაცის დაუფლების შეგრძნებას ჰგვრის. მას ათლეტური აღნაგობის პირმშვენიერი მამრები მოსწონს და აქვს ერთი კატეგორიული მოთხოვნა: „ობიექტი“ არ უნდა იყოს ძალიან მაღალი. „მამაკაცის თვალში გამუდმებით უნდა იჩხირებოდეს ჩემი მკერდი და... იგი ჩემი იქნება — ამბობს სტოუნი და დასძენს — ეს ფაქტებით დასტურდება“. თვალში „გასაჩხერი“ კი მართლაც აქვთ კაცებს: ამ ქალბატონის ბიუსჰალტერი მუდამ ერთი ზომით პატარაა, რის გამოც მკერდი დიდი მოჩანს.

შერონის მეგობრები ამტკიცებენ, რომ იგი ყოველგვარ უკიდურესობაზე წავა, რათა ხელთ იგდოს თავისი რჩეული. ერთხელ წვეულებაზე მას ერთი ყმაწვილი მოეწონა, რომელიც მარტო არ იყო, მას თან თავისი გოგონა ახლდა. შერონმა იმდენი მოახერხა, რომ სტუმართაგან მალულად იმ ყმაწვილის მზერა მიიპყრო. როგორც კი დარწმუნდა, რომ ვაჟი მას უყურებს, ვარსკვლავმა იგი შოკში ჩააგდო იმით, რომ სვიტერი მკერდამდე აიწია, მუცელზე კი ჰქონდა წაწერილი — „მე ისეთი ქალი ვარ!“ შერონის „მსხვერპლმა“ იმავე წამს დასტაცა ხელი თავის გოგონას და წავიდა, თუმცა ერთი დღეც არ იყო გასული, რომ იმ ჭაბუკმა დაურეკა შერონს და პაემანი დაუნიშნა.

ამ მსახიობის ინტიმურ ცხოვრებაზე ლეგენდები დადის. თეთრთმიანი სექსბომბა, გარდა პირადი მაცდუნებელი შარმისა, არც იმ გამოთქმას უარყოფს, რომ „მამაკაცის გულისაკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის“, სტუმრის მიღებისას, შერონი ისეთ სუფრას შლის, რომ თავბრუსხვევას პირველივე შეხედვა იწვევს. მერე კი... მერე კინოვარსკვლავი საკუთარი ხელით, ლუკმა ლუკმა კვებავს თავის საყვარლებს.

არცთუ იშვიათად, იგი თავის რჩეულს წითელი ან შავი გამჭვირვალე საცვლებით, ბარძაყზე შეკრული წინდებით და წვრილქუსლიანი ფეხსაცმლით ეგებება. შერონი დარწმუნებულია, რომ ამგვარი „სამოსით“ იგი მამაკაცს განაწყობს საიმისოდ, რაც მათ შორის მალევე უნდა მოხდეს. გრძნობათა გასამძაფრებლად იგი არც სანთლებს, წყნარ მუსიკას და არომატულ ნელსაცხებელს უარყოფს.

„შეხება სატრფიალო რიტუალის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია — ამბობს კინოვარსკვლავი — პაემანის დაწყებამდე მე ყოველთვის გავდივარ პროფილაქტიკას და ფრჩხილებს ვიწესრიგებ, რათა უეცარი შეხებით არ დავკაწრო სატრფო, რომელსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები“.

მის საძინებელში ყველაფერი ყვავილებიანი აბრეშუმითაა მორთული, სარკესთან სანთელი ანთია, იქვე ლანგარზე მარწყვი, ნაღები, ყინულის ნატეხები და შამპანიურია გამზადებული.

„... და თუ ამგვარ გარემოში, მამაკაცი ვერ მიხვდება, თუ რას ელიან მისგან, ე. ი. მას მთლად წესრიგში არ აქვს ის, რასაც გონება ჰქვია“ — ასკვნის ეს მეგობარი ქალი.

ეს, რა თქმა უნდა, პატარა ესკიზები იყო იმისა, თუ როგორ ნადირობს შერონ სტოუნი მამაკაცებზე. ისღა დაგვრჩენია, რომ ვისურვოთ — ეგებ მან დაწეროს სატრფიალო მეცნიერების „სახელმძღვანელო“, რაც ყოველი ქალისათვის სასარგებლო რამ იქნებოდა.

... და არა მარტო ქალებისთვის!

გაზ. „7 Дней“

**(იბეჭდება შემოკლებით)**



*ახლახანს გაჩნდა სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ მალე შერონ სტოუნი იქორწინებდა, იგი ერთ ფრანგ მილიონერს მიშელ ბენასერს შეჰპირდა ცოლობას.*

*შერონმა თავისი მოთხოვნების გრძელი სია წაუყენა საქმროს, რომელთა შორის პირველი იყო ის, რომ მიშელს 10 კილოგრამი უნდა დაეკლო წონაში, თუმცა ამბობენ, რომ თავად სტოუნია ამჯერად „კრიტიკულ სიტუაციაში“, რადგან გაგიჟებით უყვარს ეს პატარა ჩაპუტკუნებული კაცუნა...*

*რატომ?*

*აი, შერონ სტოუნის დის კომენტარი:*

*მიშელის საიდუმლო იარაღი გახლავთ... იუმორის გრძნობა. მართალია, შერონი საქმროს „პლიუშის დათუნიას“ უწოდებს და არცთუ დიდ მამაკაცურ პოტენციალს ხედავს მასში, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამქვეყნად არავის ძალუძს ისე გულიანად აცინოს შერონი, როგორც ამას მიშელ ბენასერი ახერხებს..*

## სამშაბათი

„იმისათვის, რომ თქვენმა თანამედროვეებმა თქვენი გენია სცნონ, იყავით ოდნავ უფრო გენიოსი, ვიდრე ისინი არიან“.

*(სალვადორ დალი)*

—

ჩვენს სამეზობლოში ასეთი ამბავი მოხდა: ერთმა ქალმა ქუჩაში სამიოდე თვის ლეკვი იპოვა, რომელიც სულს ღაფავდა. ქალმა წაიყვანა ძაღლი, თბილ წყალში ჩასვა, რაღაც წამლები დაალევინა და მომაკვდავი არსება გამოაცოცხლა. სამ-ოთხ დღეში ის ქალი თავის ლეკვს ქუჩაში დასეირნებდა... ამბობენ, რომ ძაღლის ძველმა პატრონებმა ჩივილი ატეხეს — ამ ქალმა 50 ლარად ნაყიდი ე.წ. „ბალონკა“ მოგვპარაო...

დარწმუნებული ვარ — ასეც იზამდნენ... აბა, ტყუილად ხომ არ დაიწერა ჩვენში ქართული სინამდვილის ამსახველი უტყუარი მოთხრობა — „მაგდანას ლურჯა!“

ერთი ფაქტი გაგვახსენდა, — ამჯერად სოციალისტური სინამდვილიდან:

რევოლუციამდე დაწერილ გაბაშვილისეულ „მაგდანას ლურჯაში“ სახედარს, როგორც იცით, სასამართლო მაგდანას არგუნებს, რევოლუციის შემდეგ გადაღებულ ფილმში კი, პირიქით, წაართმევენ მაგდანას თავის „მარჩენალს“.

რატომ?

თურმე ფილმისათვის შექმნილი კინოსცენარი პარტიის მითითებით გადაკეთებულ იქნა, რათა საბჭოთა ხალხს უფრო მეტი სიძულვილი გასჩენოდა უსამართლობით აღსავსე რევოლუციამდელი ეპოქის მიმართ?!..

აქ კომენტარი, მგონი, ზედმეტია...

## ოთხშაბათი

როგორც რადიოინტერვიუდან შევიტყეთ, ბატონი გოგი ხარაბაძე თურმე ამზადებს „სახარების“ თხრობის ტელევარიანტს,

იქვე, ამ ინტერვიუში ბატონ გოგის ერთმა რადიომსმენელმა (მზიამ) დაურეკა და ჰკითხა:

— ვენდოთ თუ არა იმ ფირმებს, რომლებიც მეტროს სადგურებში ბარათებს ავრცელებენ ასეთი მოწოდებით — „სასწრაფოდ გიწვევთ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე“-ო — და ამგვარი სამუშაოს მოსაძებნად მისულ პირებს სთავაზობენ, რომ ფირმის ანგარიშზე წინასწარ შეიტანონ 100 (ამერიკული!) დოლარი.

ბატონმა გოგიმ უპასუხა:

— ძვირფასო ქალბატონო, თუ თქვენ 100 დოლარი გაქვთ, სჯობს ამით ფრანგული შამპანიური შეიძინოთო!

ჩვენ კი ერთი ანეკდოტი გაგვახსენდა „ჯენტლმენ შოუს“ რეპერტუარიდან:

ერთმა ფირმამ გამოაცხადა: ხუთ წუთში 100 დოლარად შეგასწავლით ინგლისურ ენას და, თუ ეს ასე არ მოხდა, თქვენი თანხის ნახევარს გიბრუნებთო.

მოვიდა ერთი კლიენტი, გადაიხადა 100 დოლარი.

მას სთხოვეს თვალები დაეხუჭა და „სასწაულისთვის“ მომზადებულიყო. კლიენტი ასეც მოიქცა და უცებ იგრძნო, თუ როგორ ჩაარტყეს თავში ინგლისური ენის უზარმაზარი ლექსიკონი.

ფირმის წარმომადგენლები ეკითხებიან: „Do you speak English?“

პასუხი არ არის.

ფირმის წარმომადგენლები აფიქსირებენ ფაქტს, რომ საქმე სანახევროდ გაკეთდა — კლიენტმა დაივიწყა მშობლიური ენა — და პატიოსნად ასრულებენ თავის პირობას — ენაჩავარდნილ კლიენტს უბრუნებენ 50 დოლარს.

## ხუთშაბათი

ქუჩაში, ერთ-ერთი ჯიხურის „ვიტრინაზე“ ასეთ წარწერას მოვკარი თვალი „პარტია — 16 თეთრი!“

კი მივხვდი, რომ საქმე ეხებოდა რაღაც საბითუმო საქონელს, მაგრამ „ლოზუნგების ქვეყანაში“ გაზრდილს სულ სხვა ფიქრები წამომეშალა:

გეხსომებათ, ალბათ (ან რა დასავიწყებელია?!) „დედამიწის ერთ მეექვსედზე“ პარტიის სადიდებელი შეძახილები და „შეულურტულებები“ რომ იყო გადაფენილი. რა აღარ იყო მაშინ პარტია?! — სინდისი გინდა, გონიერება გინდა, მესაჭე გინდა... ყველაფერს პარტია წარმოადგენდა!

ახლა?

**„პარტია — 16 თეთრი!“**

ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, რომ ამქვეყნად არცერთ პარტიას არ აქვს ზემოთწარმოდგენილ 16 თეთრზე მეტი ფასი, გინდა კომუნისტური იყოს ის, გინდა ლეიბორისტული და გინდა ნებისმიერი სხვა...

... და თუ კარგად შემევაჭრებიან, 15 თეთრადაც დავუთმობ!

## პარასკევი

ერთმა არაქალაქელმა თურმე რამოდენიმეჯერ ნახა „მალბოროს“ სატელევიზიო რეკლამა. მერე დაფიქრდა, წავიდა ბაზარში და... იყიდა ცხენი!

ჯანმრთელობის სამინისტრო კი გაფრთხილებთ, რომ ერთი გრამი ნიკოტინი კლავს... (დიახ, დიახ!) ცხენს...

## მსოფლიო რეკორდსმენი სიძეები



მიკი რუნი — 8 ქორწინება



რექს ჰარისონი — 7 ქორწინება



ჯონი ვაისმიულერი — 6 ქორწინება

რეკორდი — რვაჯერ ცოლის შერთვა — ეკუთვნის ჰოლივუდის მსახიობს მიკი რუნის.

იგი ეკრანზე „მარადიულ ბიჭუნად“ დარჩა, ცხოვრებაში კი „ქორწინების მეფედ“ ითვლება.

მიკი რუნი ორი წლის ასაკიდან გამოდიოდა სცენაზე, კინოში კი პირველად ექვსი წლისა გადაიღეს. მას ნათამაშები აქვს როლები მცირეწლოვან ჯუდი ჰარლანდთან და ელიზაბეტ ტეილორთან, 1938 წელს კი დინა ბურბინთან ერთად დაჯილდოვდა სპეციალური „ოსკარით“ ბავშვის როლის შესრულებისათვის. ამ დაბალი, მსუქანი, ულამაზო ჭაბუკის პირველი ცოლი კინოს ისტორიაში „ყველაზე ფოტოგენური“ მსახიობი ავა გარდნერი იყო, უკანასკნელი კი — არცთუ ურიგო მომღერალი, ჯენ ჩემბერლენი. რვა ქორწინებიდან მიკი რუნის თერთმეტი (!) შვილი ჰყავს, მას ჩვენ ვიცნობთ ფილმებიდან „შეშლილი, შეშილი, შეშლილი მსოფლიო“ და „დომინოს პრინციპი“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რექს ჰარისონს (ჰიგინსი — „ჩემი მშვენიერი ლედი, იულიუსი — „კლეოპატრა“) 7 ცოლი ჰყავდა, მსოფლიო სპორტისა და კინოს ლეგენდას, ჯონი ვაისმიულერს კი („ტარზანი“) — ექვსი ცოლი.

## პიკანტური ანეკდოტები

ერთმა კაცმა იაპონიიდან სათვალე ჩამოიტანა. გაიკეთებ — ყველა შიშველია, მოიხსნი — ჩაცმულნი არიან.

მივიდა სახლში, გაიკეთა სათვალე, გააღო კარი და ხედავს: თავისი ცოლი და მეზობელი კაცი შიშვლები არიან. მოიხსნა სათვალე — მაინც შიშვლები არიან. გადააგდო სათვალე და გაიფიქრა:

„ხედავ, კაცო, იაპონიაშიც უშვებენ წუნიან საქონელს!“

* * *

ქმარი მოვიდა სახლში, აივანზე კი ცოლის საყვარელი დახვდა.

— იცით, რა, — ეუბნება საყვარელი — პარაშუტით გადმოვხტი და შემთხვევით ქარმა აქეთ გადმომაგდო.

— ხდება ხოლმე — უპასუხა ქმარმა — გუშინ ჩემს ტუალეტში ერთი გეოლოგი ნავთობს ეძებდა.

* * *

სამოთხის კართან თორმეტი ქალი გამოცხადდა.

— რომელი თქვენგანი ღალატობდა ქმარს? — იკითხა ანგელოზმა.

თერთმეტმა ქალმა ხელი აწია.

ანგელოზმა გასცა ბრძანება:

— მოამზადეთ ადგილები 12 მოღალატე ცოლისათვის, მათ შორის ერთი ყრუ-მუნჯია.

* * *

ჰოლივუდში ორი კინოვარსკვლავის შვილი ხვდება ერთმანეთს.

— როგორ მოგწონს შენი ახალი მამიკო?

— ის ძალიან თბილი კაცია.

— ჩემი შარშანდელი მამიკოც ასეთივე თბილი კაცი იყო!

**ი/ს — «ფანტაზია»**

რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ №7/1-1811

ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები

# საშინელებათა კროსვორდი



თარაზულად: 1. საბჭოური ეპოქის ერთადერთი საშინელებათა ფილმის მთავარი პერსონაჟი, ბორის კარლოვის შესრულებით; 8. ქართული ზღაპრის „საშინელებებთან" ხრიკებით მებრძოლი პერსონაჟი; 14. წიქარას საბრძოლო იარაღი; 15. საგაზეთო „ჟანრი", რომელიც საშინელ ფაქტს, სიკვდილს უკავშირდება; 16. საშინელი „კაცი", რომელმაც 12 წლის ზაქრო სახლს მოაშორა; 18. ფრინველი, ერთი თურქი გოგონას (ფერიდეს) სიმბოლო (ო, რა საშინლად გატანჯა სიყვარულმა!); 19. საშინელი „მანქანა", რომელმაც გიორგი შავგულიძის სიცოცხლე შეიწირა; 20. მოსკოვის ყოფილი ტელეარხი, რომელმაც ვლად ლისტევის სიცოცხლე შეიწირა (საშინელი სიკვდილით); 23. „ჩხიკვთა ქორწილის" საშინელი პერსონაჟი; 25. მცირე ხელოვნური წყალსატევი, საშინელი ჩახრჩობებისათვის გამოყენებული; 26. ე. ნინოშვილის (თითქმის) ტრილერი (ტრილერი "დამშინებელი" ნაწარმოებია); 27. ყველაზე იაფფასიანი (და საშინელი) სიგარეტი; 28. წიქარას გამოდევნებული ტახის საშინელი იარაღი; 29. დოსტოევსკის (თითქმის) ტრილერი. (ცულით, პროცენტებით, სისხლით); 31. აფრიკის არაბული სახელმწიფო, ერთდროს საშინელი ბედუინებით; 35. საშინელი ცოლის სახესხვაობა; 37. საშინელებათა ფილმი ჯეკ ნიკოლსონისა და მიშელ პფაიფერის მონაწილეობით; 39. რა უსწრებს წინ საშინელ მოვლენებს; 40. ჟიულ ვერნის (თითქმის) ტრილერის პერსონაჟი – კაპიტანი; 42. გორგასალთან, არსენასთან, მაიასთან დაკავშირებული თბილისური ობიექტი 1955 წ. შემოდგომაზე საშინელი წყალდიდობის მომსწრე; 44. ორი პერსონაჟის საუბარი მექსიკა-ვენესუელას ფილმებში საშინლად გაწელილი; 46. ქართული ზღაპრების... საშინელი პერსონაჟი; 47. ფრანგი მწერალი, ფრანსუა... (დამშინებელი) გროტესკით გამორჩეული; 49. თბილისური „წმინდა" ობიექტი ყოველი მიცვალებულისათვის საშური განსასვენებლით; 50. რუსი ჩოგბურთელი ქალი, მხეცური გვარით; 51. ბალახი (ერთხანს შევისვენოთ შიშისაგან); 53. იაგოსაგან ფრიად დაშინებული პერსონაჟი; 54. პოპულარული თამაში, წაგებულისათვის საშინელი განცდებით; 55. სპორტული თამაში, საშინელი ცემა-ტყეპით; 56, გერმანიის მდინარე, (ისევ შევისვენოთ); 57. საშინელებათა ფილმების დიდოსტატი რეჟისორი; 58. აფრიკის უმაღლესი მწვერვალი.

შვეულად: 1. 60-70-იანი წწ. საბჭოეთის დამშინებელი ფრანგული ფილმი; 2. ზოგიერთი მორწმუნის საშინელი ჩვევა თვითგვემისა; 3. კაცი, რომელიც სხვებს აცინებს საშინელი შრომის წყალობით; 4. კითხვა-გამოცანა: რატომ ვერ ხოცავენ ხაშლამისმჭამელ კახელებს ვამპირები? (იმიტომ, რომ კახელები ხაშლამას მიირთმევენ „ამ მცენარის" თანხლებით. რა არის ეს მცენარე?); 5. ბერძნულ მითოლოგიაში პოსეიდონის ვაჟი, ფეხების ნაცვლად საშინელი კუდის მქონე; 6. დაკოდილი ცხენი (დაკოდვა საშინელი პროცესია დაკოდილისათვის); 7. შერწყმა-შეერთების პროცესი (ერთხელაც დავისვენოთ); 9. დამშვიდობების სიტყვა (დასვენებას განვაგრძობთ); 10. ცეცხლის ინდური ღვთაება (ცეცხლთან თამაში საშიშია); 11. რუსული ზღაპრების საშინელი თევზის ქართული სახელი; 12. ყვავილი, რომელსაც ერთ დროს ლილი ივანოვა უმღეროდა; 13. ყავის სახესხვაობა; 17. ქართული ზღაპრების საშინელი პერსონაჟი ქალი; 21. მახრჩობელა ხილი; 22. ვაჭრობის საშინელი მხარე (გამყიდველისათვის); 24. ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც დღეს საშინელი ფალსიფიცირებული სითხით ცვლიან; 28. ძველი დროების სატრანსპორტო საშუალებაც და ენდშპილის უშიშარი ფიგურაც (ჭადრაკზე ვამბობთ, რაღა!); 30. კაცი, რომელიც დილით სვამს შამპანიურს (პაპანოვის ერთ-ერთი ვერსიით); 32. უშიშარი შვედი „ავიატორის" ლიტერატურული დედა; 33. ქართული გაზეთი, რომელმაც 4-5 წლის წინ საშინელი ბრძოლა გაუმართა მაშინ არსებულ ხელისუფლებას; 34. (კიდევ ერთი) დიდოსტატი საშინელებათა ფილმებისა; 36. კითხვა-გამოცანა: აპრილში ხუთი დღე რომ ვმუშაობდით და ერთ-ერთ მეექვსე დღეს ლენინის „ხათრით" რომ გვამუშავებდნენ, თუ გახსოვთ, რა იყო ის; 38. საფლავის ერთ-ერთი სიმბოლური ატრიბუტი; 41. ჭკუასთან უმძრახად მყოფის სახესხვაობა; 43. აშშ-ს ერთ-ერთი ტბა, შესაშური მასშტაბებით; 45. ინდონეზიის კუნძული, მოსახლეობის შესაშური სიმჭიდროვით; 48. ამერიკული თოჯინა საშინელი ფასით; 49. საშინელ-საოცრად შემამცირებელი დანადგარის პირველი ნახევარი; 50. ალენ დელონის შიშის ზარის დამცემი პერსონაჟი; 52. არაბული ზღაპრების პერსონაჟი;

## არკადი ქურჩიშვილის იუმორი

ამხანაგების წრეში ჭადრაკზე საუბრისას არკადიმ აღნიშნა, რომ რამდენიმე კვირის წინ ზედიზედ სამი პარტია მოუგო სპორტის ოსტატს.

— სად ნახე ასეთი სუსტი ოსტატი? — ჰკითხეს გაკვირვებით.

— რატომ სუსტი? — უპასუხა არკადიმ, — ამ სამი თვის წინ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა და საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრიცაა!

არკადის მომცრო ტანის მეუღლე ხშირად ტოვებდა სამზარეულოს კარადის კარს ღიად.

— ოდნავ მაინც მაღალი ყოფილიყავი! — მიმართა ერთხელ არკადიმ მეუღლეს.

— ეხლა მიწუნებ? — იწყინა მან.

— არა, მაშინ კარადის კარს თავს შენც მიარტყამდი! — უთხრა არკადიმ.

დაბადების დღის წინ არკადიმ მეუღლეს ჰკითხა, რა საჩუქარს ისურვებდა.

— ჯერ არ მომიფიქრებია! — უპასუხა მან.

— კარგი, მოსაფიქრებლად გაძლევ კიდევ ერთ წელს!

\- - -

ისრაელის ქართულენოვან ჟურნალში ერთი ავტორის საკმარისად სუსტი ლექსები დაიბეჭდა. რედაქტორმა ეს ფაქტი ასე გაამართლა?

— ლექსები საქართველოში გამომავალ გაზეთში იყო გამოქვეყნებული!

— ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იმ გაზეთის რედაქციაში ავტორს მტერი ჰყოლია! — შენიშნა არკადიმ.

# ანბანთქმება



### (ყველა სიტყვა იწყება ასო ბან-ზე)

1. რუსთაველის თეატრის მსახიობი, იზა; 2. ერთ-ერთი ქართული კინოპაპა ფილმში; 3. ქრისტიანი, მუსლიმანის თვალში; 4. ფრანგი იმპრესიონისტი; 5. საერთაშორისო ორგანიზაცია; 6. უძველესი შაუამდინარული ეპოსი; 7. თავის მოსაკვეთი მანქანა; 8. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 9. საქართველო ერთ-ერთ ევროპულ ენაზე; 10. თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე; 11. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 12. ავადმყოფური წერის მოყვარული; 13. ენის მეცნიერება; 14. ესპანელი ფეხბურთელი „ბარსელონადან"; 15. ოვანეს თუმანიანის მოთხრობა პატარა ბიჭის შესახებ; 16. ებრაელი დრამატურგი-კლასიკოსი; 17. რაჭის სოფელ გლოლადან წამოსული გვარი; 18. აფრიკის სახელმწიფო; 19. დასავლეთ საქართველოს თავადური გვარი; 20. ანტილოპისებრი ცხოველი; 21. ჯარის რჩეული ნაწილი; 22. ცენტრ. ამერიკის სახელმწიფო; 23. სახის გამომეტყველების თავისებურება; 24. მოსწავლის „გასაჭირი"; 25. ყვავილი; 26. ინგლისელი მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, დეივიდ...27. დიდი რუსი კომპოზიტორი; 28. ქალის დამცინავი მოხსენიება; 29. იგივეა, რაც სურინამი; 30. ალკოჰოლური სასმელი; 31. ყველაზე ცნობილი დაღიანი (პოლიტიკაში); 32. კრივის დაწყების სიგნალი; 33. საზოგადოებისათვის თავდადებული პირი; 34. დიდი გერმანელი პოეტი; 35. ფიშერის მეგობარი, იუგოსლაველი დიდოსტატი, სვეტოზარი; 36. ამ ასოზე დაწყებული ერთი პოემა არსებობს ქართულ ლიტერატურაში.

### გასული ნომრის პასუხები

(ნახევრად) სპორტული კროსვორდი

თარაზულად: 1. ლასკალა; 5. ტაშკენტი; 10. ტექსტილშიკი; 11. ვრემია; 15. აკლიმატიზაცია; 16. ხმა; 17. ტაკიმასხარა; 18. რაბი; 19. ირაო; 21. ლეჟოტინა; 22. კოპაშვილი; 23. კრედო; 26. ელისტა; 28. ვაშინგტონი; 29. ამორძალი.

შვეულად: 1. ლიტბარსკი; 2. საქალაქთაშორისო; 3. ავტომატი; 4. ატლეტიკო; 6. ამირანაშვილი; 7. კრივი; 8. ნიკე; 9. იორი; 12. რამაზი; 13. მახარაძე; 14. ამარილდო; 20. ალაბამა; 21. ლივლივი; 23. კინგი; 24. დეინა; 25. სენა; 27. პი;

(შეყვარებულთა კროსვორდი)

თარაზულად: 1. მირანდოლინა; 10. ბულბული; 11. ქათინაური; 12. ცურტაველი; 13. ანანასი; 14. ალიგატორი; 15. ისტორია; 18. იმიჯი; 21. სარე; 22. არევიკა; 25. რკინა; 26. ლინკოლნი; 27. ფლობერი; 29. მდორე; 30. ნევროზი; 31. ონისე; 32. აზიზი.

შვეულად: 1. მიქსერი; 2. რითმა; 3. ნანდაური; 4. ოკუჯავა; 5. ინიციატივა; 6. აბორტი; 7. ალმანახი; 8. ჰუგენოტი; 9. ნიკიტინი; 16. ტურანდოტი; 17. ეკონომია; 19. მაკარენა; 20. ჯინა; 21. სალომე; 23. რანდევუ; 24. გოგენი; 27. ფსოუ; 28. გრეი.

კინო(თემატური) კროსვორდი

თარაზულად: 1. ბის; 7. კიმ; 9. ლოლობრიჯიდა; 10. რკო; 12. მზე; 13. ტრენტინიანი; 14. მისტერია; 17. ნენოვა; 18. მონრო; 19. სტატისტი; 21. სტენლი; 22. რვა; 23. რადა; 25. აიაჩო; 26. ლვინჯუა; 28. ტყე; 29. გლინკა; 30. კუბრიკი; 31. ავტორი; 32. მორავია.

შვეულად: 1. ბურგომისტრი; 2. კისტნერი; 3. ლორენი; 4. გრეტა; 5. აჯანი; 6. ადვაძე; 8. მრეცხავი; 11. ოლესია; 12. მიროშნიჩენკო; 15. ამირეჯიბი; 16. ანჯაფარიძე; 17. ნოსტალგია; 20. ტრაგედია; 24. წიწკვი; 27. შარია; 28. ტოტო.

კაიფვორდი „ყველასათვის"

თარაზულად: 1. ონავარი; 4. ესპერანტო; 10. აპასიონატა; 11. იტალია; 12. გათვალისწინება; 13. სადი; 14. ტომ; 15. ვოლფრამი; 17. გუნდი; 18. ნერუ; 20. გოლ; 22. ირბინე; 23. ასია; 28. ხბო; 29. პილინგატორი; 31. არმადა; 33. პლანტატორი; 34. ატრომანი.

შვეულად: 1. ორანგუტანი; 2. აბასთუმანი; 3. ამილახვარი; 5. სკამი; 6. ენისელი; 7. ალადასტური; 8. ტრინიდადი; 9. საქსაფონი; 16. მაო; 19. ურუგვაი; 20. გეორგია; 21. ლას; 24. ახტალა; 25. ბორანი; 26. ტიალი; 27. სიონი; 30. ტროა; 31. ერბო.

(ნაცნობი სახეები — ნაცნობ გაზეთში)

თარაზულად: 1. პავლიაშვილი; 8. მეკოკე; 11. ელდორადო; 12. გრიბოედოვი; 13. პამელა; 14. ტერეხოვა; 16. ჩხუბი; 17. მარე; 19. საბანი; 20. ონორე; 22. ლია; 23. ვებერთელა; 27. ორმო; 28. იაშინი; 29. ვონიჩი; 32. აბრაგი; 33. ვევა; 35. აშოტი; 37. დეკოლტე; 38. ჭინკა; 39. მელაძე; 40. აგრიკოლა; 41. კოლინზი; 43. ბიძინა; 44. მურვანიძე; 47. მხედარი; 48. ილია; 51. კოზლოვი; 52. სარკინოზი; 55. ტანი; 56. გუსმანი; 59. ქონდაქარი; 61. ნეკრასოვი; 62. ხაჩიკიანი; 64. საბა; 66. ჰერა; 67. ფიზიკა; 69. მილანი; 71. საველიჩი; 75. ერა; 76. ტარიელი; 79. ანკარა; 80. იუნონა; 83. ნანსენი; 85. დედისიმედი; 87. ევანსი; 88. ნირო; 89. ეკალი; 90. მტლე; 91. პატიაშვილი; 92. რაგბი; 94. ონავარი; 96. დრო; 97. შოუ; 98. სტილო; 101. ანაგრამა; 104. ფინეზი; 106. ინაური; 108. მორზე; 110. მარაო; 112. სიტყვა; 113. ებრაელი; 114. სკაუტი; 115. რილკე; 116. ჩიტა; 117. იდეა; 118. ლირი; 119. ოიდიპოსი.

შვეულად: 1. პუგაჩოვა; 2. ვაიკულე; 3. იპოლიტე; 4. ვშოლა; 5. ლეიტენანტი; 6. მონე; 7. სამოილოვა; 8. მოპასანი; 9. კეშბელი; 10. კალინინი; 15. რერო; 17. მითაიშვილი; 18. როლი; 21. ერგემლიძე; 24. ესაკია; 25. ბერიკაშვილი; 26. რიგა; 30. ნიკოლაევი; 31. ჩელენტანო; 34. ფელინი; 36. ტროლეიბუსი; 37. დეკამერონი; 39. მაბლი; 42. სმოკტუნოვსკი; 45. რეზნიკი; 46. ნევა; 49. არარატი; 50. ფსიქიკა; 53. კოდაკი; 54. ზურაბი; 57. მაგელანი; 58. ბოკაჩო; 60. ქისა; 63. პირანდელო; 65. ანტარქტიდა; 66. ჰეროდოტე; 68. კვესელავა; 70. ლენცი; 72. ვენერა; 73. ტინა; 74. მარჩელო; 77. რაიკინი; 78. ლევიტანი; 81. უდიპლომო; 82. ასფალტი; 84. ინტრიგა; 86. მეველე; 93. გვარი; 95. რანგუნი; 98. სფერო; 99. ინტერი; 100. იზმირი; 102. რუსიკო; 103. მიტიჩი; 105. ვასკო; 107. ხვატი; 108. მიკი; 109. რელე; 111. ოკეი.

(პირველი გვერდი)

თარაზულად: 4. მკითხველი; 6. შნო; 7. ნოე; 9. ფრისტაილი; 10. ეტლი; 11. ნინო; 12. ლინოტიპისტი; 15. ტატი; 16. სვეტი; 17. ინტრიგანი; 21. სად; 23. სვე; 24. ნაკლოვანება.

შვეულად: 1. რისკი; 2. ახმეტელი; 3. სერი; 4. მორფინისტი; 5. ინფინიტივი; 6. შოლტი; 8. ოზონი; 13. მადა; 14. სტივ; 18. ტიალი; 19. იაპვე; 20. აბანო; 22. დონ; 23. სია.

# ვითარებითი ბრუნვა



### ყველი სიტყვა ჩასვით ვითარებით ბრუნვაში

1. რომელ უცხო სიტყვად გადაიქცა ქართული „ვითარება? 2. „რადა" ხარ საქებიო, ერთი წესის დარგვისას? — ერთი პოეტის თქმით; 3. რად რჩება ზოგიერთი გაქალაქებული, მიუხედავად მრავალი მცდელობისა? 4. „რად" გარდაიქმნება ხოლმე მხცოვანი პოეტის შემოქმედება? 5. რად იწოდება ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია? 6. რა უცხოურ სიტყვად ასხვაფერებენ „თავმდებობას"? 7. რად გარდაიქმნება ხოლმე მწუხარება არაიშვიათად? 8. რად იქცევა ხოლმე უმუშევარი კაცი? 9. რად გადაიქცა თბილისის მრავალი სათამაშო ეზო-მოედანი? 10. რად გარდაიქმნება ხოლმე მოზელილი თიხა? 11. რად ვერ ექცევა ხშირად ობოლს მამის მეორე ცოლი? 12. რა სიტყვად არის ქცეული პატივისცემა ქალაქურ ყოფაში? 13. ხევსურეთის სოფელი (ჩაწერეთ ვით. ბრუნვის ფორმით); 14. რად გვიქციეს კომუნისტებმა აპრილის ერთ-ერთი დასვენების დღე (ლენინის მიბაძვით); 15. რა სამეწარმეო ერთეულად გადაიქცა ყოფილი სახელმწიფო ორგანიზაციები; 16. როგორ უნდა იქცეოდეს მიჯნური სატრფოს სასიყვარულო ინტრიგებში? 17. რად იქცევა ხოლმე ხშირად სასწავლო პროცესი? 18. რომელ გვარად უფრო ვიცნობთ ქალბატონ დიუპენს? 19. ესტრადის რად იქცა ამ ბოლო დროს ბატონი ვახტანგი? 20. ცალყბად თქმის ნაირსახეობა; 21. რა სიჯიუტედ იქცევა ხოლმე მისი უკიდურესი ფორმა? 22. რად იქცა უკანასკნელ ხანს მრავალი ჩვენთაგანისათვის ვაჭრობა? 23. უზრდელად (ანუ?)... ქცევა; 24. ქართული სინამდვილის რა სინონიმად შეიძლება ვაქციოთ ცნება „სპარტელი"? (ლაპარაკია თითოეულზე სამასიდან); 25. რად იქცევა ხოლმე აღდგომის წინა პერიოდი მორწმუნეთათვის; 26. დაუკვირვებლად, უმიზნოდ (ანუ?) ლაპარაკი; 27. რეალურად (ანუ?) 28. რა ადამიანად იქცა (სამწუხაროდ!) სავაჭრო ოპერაციებში მრავალი ჩვენთაგანი: 29. ჩაუქად ანუ? 30. რად იხდიან ხოლმე „ძლიერნი" უნებისყოფო ქალებს? 31. რომელ იმპერატორად გარდაისახა რეზო ჩხიკვიშვილი კამიუს პიესაში? 32. წყალში ჩამხრჩვალი ტურგენევის ძაღლი (ჩასვით ვით. ბრუნვაში); 33. რომელ პერსონაჟად იქცა ნატო ვაჩნაძე კ.ფ. „სამ სიცოცხლეში"? 34. როგორ მიედინება უაზრო ცხოვრება? 35. ლათ. ამერიკის ქვეყანა (ვით. ბრუნვაში); 36. რა ენაზე წერდა და აზროვნებდა ომარ ხაიამი?

# სუპერფანტაზია

## CROSS-GALLERY

# ნაცნობი სახეები — ნაცნობ გაზეთში — 2







































**თარაზულად:** ***1. (იხილეთ ფოტო); 4. (იხილეთ ფოტო);*** 11. ფანჯრის „ჩასაკეტი" საშუალება; ***12. (იხილეთ ფოტო);*** 13. საზ. კვების ობიექტი ოთხი „სან"-ით; 14. სალხის რჩეული (ო, რა პატივია!); 15. (სუდარინია) აპინა (ო, რა ქალია!); 16. ევროპელ მილიონერთა გვარი (ო, რა, „მაყუთია"!); 18. სავალი ნაწილი (ო, რა დღეშია!); 19. აფრიკის სახელმწიფო; 23. ესპანელი კონკისტადორი, ჩილეს და პერუს „თემურლენგი"; 26. მსახიობთა ასპარეზი; ***27. (იხილეთ ფოტო);*** 28. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი; 32. მართლმადიდებლური შერისხვა; 33. კაცი, რომელმაც (ფეხბურთით) გაგვაცნო კამერუნი; 35. კოლოებთან მებრძოლი ჩრდ. ამერიკული თევზი; 38. საბრძოლო თხრილი (არაქართულად); 39. პრივილეგირებული „აქტრისა"; ***41. (იხილეთ ფოტო);*** 42. (ბატონი) ნატუტარი, ყვარყვარეს „თანამებრძოლი" (პიესაში); 43. შეურგებელი „რამ" (თუნდაც ლუკმა); 44. საწყალოსნო ატრაქციონების ერთობლიობა; 46. ის, რისკენაც ილტვის პარტოცკლეპტოც-ბიურიც... („კრატიებზე" ვამბობთ, რაღა?!); 48. სახელისუფლებო „ორგანოს" სახესხვაობა; ***50. (იხილეთ ფოტო);*** 54. სადაური იყო მიხეილ ტალი? (ო, რა მოჭადრაკეა!); 55. (ვაი) პოლიტიკოსთა (ცრუ) „ვნებათაღელვა" (ო, როგორ მოგვბეზრდა!); 56. სასალათე თეთრი, ბლანტი მასა; 57. სირიუსიც, ჯექსონიც, (აშშ-ს) შტატიც... 58. როგორი დედაქალაქი გვაქვს... სიმბოლურად? 60. (ბატონი) ჭონქონელიძე... ჯამბულატი, პეტრე ბაგრატიონი და ა. შ. 61. (ჭეშმარიტი) შემოქმედების აუცილებელი წინაპირობა; 62. ორნაქმარევი, უშვილო ქალის მსურველი პერსონაჟი; 65. ირანის (პოეტთა) ქალაქი; 68. ირანის (ვაჭართა) ვალუტა; 69. მრავალთაყვანისმცემლიანი ცოლის (რკინიგზელი) ქმარი... (ფილმზე ვამბობთ, რაღა?!); 70. რაჭველთა საყვარელი სიტყვა; 71. შხამიანი გველი (ო, რა საშიშია!); 72. (ბატონი) კალანდაძე, ქართველი მწერალი; 73. პურეულის ნამჯის ნალეწი; 74. მარიამის ერთი კნინობითი ფორმა (ო, რა ქართულია!); 77. სტენდალის ერთი რომანის „ქალაქი"-სავანე; 78. რა სიტყვით მოიხსენიებს ჯაყო „ქართველს"? (ო, რა რომანია!); 80. ტროპიკულ-სუბტროპიკულ მცენარეთა ჯგუფი (მხ. რ.) არსებობს მათი დეკორატიული სახესხვაობაც (ცოტაც წიგნებში იქექეთ, რაღა); 82. (ზარბაზნების მოყვარული) გერმანელი კომპოზიტორი; 83. (ებრაული წარმოშობის) რუსი (ინდოეთში მოღვაწე) მხატვარი (ვაჰ, ეს ვინა ყოფილა, კაცო?!); 85. აი, „ეს" თუ რამეზე გაჩნდა, წასულია იმის საქმე! (ბოლოს მაინც დაიმსხვრევა); ***87. (იხილეთ ფოტო);*** 89. ნაიარევის „კვალი" სხეულზე (და სახეზეც); ***90. (იხილეთ ფოტო);*** 91. სულიერი და მორალური „კრიზისი"; 92. მძვინვარე ურჩხული კუნძულ კრეტადან (ძვ. ბერძ. მითოლოგია); 94. ყოფ. გდრ-ს კინო-ფოტო-ფირი; 96. აღორძინების ეპოქის უდიდესი იტალიელი მხატვარი; 97. თვითმფრინავის „დიასახლისი"; 99. აფრიკის სახელმწიფო, რასისტების მიერ ოკუპირებული; ***100. (იხილეთ ფოტო);*** 101. მუსლიმანთა რელიგიური წინამძღოლი;

**შვეულად:** 1. ჩვენი, თქვენი და ყველას (გინება არ გეგონოთ) სათაყვანებელი ქვეყანა; 2. ფრინველების შემსწავლელი მეცნიერება; 3. ქალაქი ჩრდ. კავკასიაში; 4. (მისტერ) მერკური, აწ გარდაცვლილი; 5. დაახლ. იგივეა, რაც გამოფენა; 6. სხეულის ერთ-ერთი ხვრელი (ცუდი რამ არ გეგონოთ); ***7. (იხილეთ ფოტო);*** 8. მიბაძვის, თაყვანისცემის ობიექტი; 9. (ჩვენი ცოდვით სავსე) ვიქტორი.. კროსვორდის გამომგონებელი; 10. არგენტინელი (სექს-სიმბოლო) ჩოგბურთელი (იხ. „ფანტაზია"№ 3); 17. ქართული ოპერა; 20. ძილის წინ მოსასმენი რამ; 21. საარაყედ ქცეული ახლოთბილისური ტოპონიმი; ***22. (ფოტოზე გამოსახული ქალბატონის სახელი);*** 24. ქალაქი გაერთიანებულ გერმანიაში; 25. მაგნიტის ძველქართული სახელი; 29. კაპიტან ნემოს ხომალდი; 30. უბანი, სადაც სამების ტაძარი შენდება; 31. „ტრადიციის" მოძველებული სინონიმი; 33. ქალაქი ინდოეთში; 34. „ტრადიციის" ძველი სინონიმი; 35. ფრანგი თეოფილე, მწერალი და კრიტიკოსი; 36. რუსი საბჭოთა კინომსახიობი ბორისი („ტრაქტორისტები" და ა. შ.); 37. ქართველი მსახიობი, ალექსანდრე („გლახის ნაამბობი" და ა. შ.); 40. მოწინააღმდეგისა და ტერიტორიის ვიზუალურად შესწავლა ფრონტზე; 43. სპეციფიური მათემატიკური ცნება; 45. ესტონელი დიდოსტატი, პაული.. ახლო წარსულში; 46. („ფანტაზიის" მკითხველთათვის ნაცნობი) სპარსელი პოეტი; 47. (საკროსვორდო) ვულკანი ჩილეში; 48. თერმოდინამიური ტემპერატურის ერთეული; 49. ქირურგიული ინსტრუმენტი; 51. ცირკის მსახიობი; 52. აპრილის ძველქართული სახელი; 53. ბაკურიანის „პრივილეგია"; 59. უკანასკნელი წლების სკანდალური პრინცესა; 62. თბილისის გარეუბანი; 63. ფიზიკოსი ცოლ-ქმრის გვარი; 64. ბოსფორისპირა მეგაპოლისი; 65. დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი; 66. 1789-ც, 1848-ც, 1917-ც... 67. გმირთა მოედნის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა; 70. შვ. № 49-ში ნაგულისხმევი ექიმი; 75. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 76. აზერბაიჯანის კუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკა; 79. კაცი, რომელიც სამსახურეობრივი წინსვლისათვის ყველას და ყველაფერს აბინძურებს; ***81. (იხილეთ ფოტო);*** 84. დას. საქართველოს სახელაღდგენილი რაიცენტრი; 86. თენგიზ არჩვაძის კინოპერსონაჟი მრავალსერიან ფილმში; 88. რა ჰქვია ჰოკიჯოხს ქართულად? 89. ყვავილი... (ლიდიუმ კანდიდუმ); 93. არდათანხმების გამოხატვა პირის გაწკლაპუნებით; 94. სესილია თაყაიშვილის კინოთეატრალური პერსონაჟი; 95. ჰენრიკ იბსენის და ედვარდ გრიგის სამშობლოს დედაქალაქი; 96. ზმნიზედა იქ — რუსთველურად; 98. ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი რომანი.